11/11/2025

MES 6 25 0001584141

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 31 ოქტომბერს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85211618130
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

***პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:***

**ელენე კაკაბაძე -** პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
**ხათუნა ჩხარტიშვილი -** სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
**ნათია ბუთხუზი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი - საბჭოს მდივანი;
**გიორგი ვეკუა -** სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი;
**ხათუნა ცერცვაძე -** სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
**დავით ჯინჭარაძე -** სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი;
**ანა აროშიძე -** სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

**ეკატერინე გიგაშვილი -** პროფესიული განათლების ექსპერტი;
**გოჩა გოგიტიძე -** სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი;
**გოგიტა მშვენიერაძე -** ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი.

***სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომა დგენლები:***
**ნანი დალაქიშვილი -** პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ნათია მჭედლიძე -** პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**სოფიკო ბექირაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**ნინო ხელაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
**მარიამ ჩოხელი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

***საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:***
გვანცა პაკატილოვი
ლია ხარებავა
ნინო ბოკუჩავა
თეა ხარაზიშვილი
ირმა ორაგველიძე

***დაწესებულებების წარმომადგენლები:***

**ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი**
ნანა აბდალაძე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;
ირაკლი ყორღანაშვილი - ფინანსური და მატერიალური რესურსების მენეჯერი.

**შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტი**
ლალი ხვედელიძე - შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ელიდა ხვედელიძე - შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე აკადემიური მიმართულებით;
მზევინარ ძირკვაძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;
ქეთევან ბაუჟაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი პროფესიული განათლების მიმართულებით;
ლევან გობაძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ელექტროობის - ხელმძღვანელი.

**შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლა**
ლალი ხვედელიძე - შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლის დირექტორი;
მზევინარ ძირკვაძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;
ქეთევან ზაუჟაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი პროფესიული განათლების მიმართულებით;
ოთარ ცინცაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ია ვერულიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ლევან გობაძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

**შპს ცხუმ-ეგრისი**
გელა მამფორია - დაწესებულების დირექტორი;
ნონა თაკალანძე - დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი.

**შპს საზოგადოებრი ვიკოლეჯი Natali academy**
ნატალია თოლორაია - დირექტორი;
ქრისტინა რზგოევა - დირექტორის მოადგილე;
მანანა მახარაშვილი-ხარისხის მართვის მენეჯერი;
მაია გუგეშაშვილი - სასწავლო პროცესის მენეჯერი.

**საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.**
საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**დღის წესრიგი:**
1. ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისში საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. "შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 26 თებერვლის №295477 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
3. „შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 აპრილის №420756 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
4. „შპს ცხუმ-ეგრისის ავტორიზაციის შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 24 ივნისის №740280 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

5. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali academy-ის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

**პირველი საკითხი:** ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისში საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ისაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მისი განცხადებით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2025 წლის 30 ივლისისა და 13 აგვისტოს სხდომებზე განხილულ იქნა ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის ავტორიზაციის შესახებ საკითხი. ავტორიზაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის ჩანიშვნასთან დაკავშირებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის 5.1 კომპონენტის გადამოწმების მიზნით (5.1. კომპონენტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი). მონიტორინგის თარიღად საბჭომ განსაზღვრა 2025 წლის 29 აგვისტო, მონიტორინგის ფორმად - დოკუმენტების გამოთხოვა (ოქმები: N1030974 - 27.08.25; N969785 - 11.08.25 ). მიმდინარე წლის 17 და 19 სექტემბერს, ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისის მიერ ცენტრში წარმოდგენილ იქნა წერილები N1168591, N1187573 რომლითაც დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებულ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ საკითხის შესწავლის შედეგად, დადგინდა რომ დაწესებულებას შესრულებული აქვს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შესაბამისობის რეკომენდაცია, ამდენად, შესაძლებელია საბჭომ იმსჯელოს მონიტორინგის დასრულების თაობაზე

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა ზემოაღნიშნული შუამდგომლობა მიიღეს ცნობად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისში საბჭოს მიერ ჩანიშნული მონიტორინგის შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგი** :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0
**გადაწყვეტილება:** საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისში (ს/კ: 400306860) საბჭოს მიერ ჩანიშნულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

**მეორე საკითხი:** "შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 26 თებერვლის №295477 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მისი განცხადებით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) რეგისტრირდა შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტის N1287381 - 06.10.25 და N1285771 - 06.10.25 წერილები. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროოზის" განახლებული პაკეტი, რომელიც შესაბამისობაშია მოყვანილი ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. აღნიშნული პროგრამის მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამის პარამეტრები, კერძოდ, კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **66 კრედიტი,** კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **81 კრედიტი,** ასევე, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია, რომ პროგრამა ხორციელდება **კოოპერაციულ** სამუშაო გარემოში. დაწესებულების გადაწყვეტილებით, აღნიშნული ცვლილება გავრცელდება 2026 წლიდან პროფესიულ სტუდენტთა მიღების ფარგლებში, ხოლო 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები სწავლას დაასრულებენ შეცვლამდე არსებული

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. სამსახური აღნიშნავს, რომ ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N295477-26/02/2025 გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა ზემოაღნიშნული შუამდგომლობა მიიღეს ცნობად.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, "შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 26 თებერვლის №295477 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგი** :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0
**გადაწყვეტილება:** საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს "შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 26 თებერვლის №295477 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: 1.1 ცვლილება განხორციელდეს „ელექტროობა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარამეტრებში. გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1)**.

**მესამე საკითხი:** „შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 აპრილის №420756 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მისი განცხადებით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) რეგისტრირდა შპს მახინჯაურის საზღვაო სკოლის N1289737 - 06.10.25 წერილი. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობის" განახლებული პაკეტი, რომელიც შესაბამისობაშია მოყვანილი ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან. აღნიშნული პროგრამის მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამის პარამეტრები, კერძოდ, კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **66 კრედიტი,** კრე დიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **81 კრედიტი,** ასევ ე, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია, რომ პროგრამა ხორციელდება **კოოპერაციუ ლ** სამუშაო გარემოში. დაწესებულების გადაწყვეტილებით, აღნიშნული ცვლილება გავრცელდება 2026 წლიდან პროფესიულ სტუდენტთა მიღების ფარგლებში, ხოლო 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები სწავლას დაასრულებენ შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. სამსახური აღნიშნავს, რომ ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N420756 - 26/04/2022 გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა ზემოაღნიშნული შუამდგომლობა მიიღეს ცნობად.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, „შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 აპრილის №420756 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგი** :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0
**გადაწყვეტილება:** საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „შპს მახინჯაურის საზღვაო ლიცეუმისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 26 აპრილის №420756 გადაწყვეტილებაში 1.1 ცვლილება განხორციელდეს „ელექტროობა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პარამეტრებში. გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 2)**.
**მეოთხე საკითხი:** „შპს ცხუმ-ეგრისის ავტორიზაციის შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 24 ივნისის №740280 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- **არა**

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მისი განცხადებით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) რეგისტრირდა შპს ცხუმ-ეგრისის N1356693 - 16.10.25 წერილი. დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების „ელექტროობა" და "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" განახლებული პაკეტები, რომლებიც შესაბამისობაში მოვიდა ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან. აღნიშნული პროგრამების მოდიფიცირების შედეგად შეიცვალა პროგრამების პარამეტრები, კერძოდ, **ელექტროობა** - კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **66 კრედიტი,** კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის **81 კრედიტი,** ასევე, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია, რომ პროგრამა ხორციელდება **კოოპერაციული** სწავლების ფორმით. დაწესებულების გადაწყვეტილებით, აღნიშნულ პროგრამაზე უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები სწავლას დაასრულებენ შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. **ი ნფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა -** კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 55 **კრედიტი,** კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 70 **კრედიტი,** ასევე, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია, რომ პროგრამა ხორციელდება **კოოპერაციული** სწავლების ფორმით. დაწესებულების გადაწყვეტილებით, აღნიშნულ პროგრამაზე უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები სწავლას დაასრულებენ შეცვლამდე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. სამსახური აღნიშნავს, რომ ცვლილება უნდა შევიდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N740280 - 24/06/2025 გადაწყვეტილებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა ზემოაღნიშნული შუამდგომლობა მიიღეს ცნობად.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, „შპს ცხუმ-ეგრისის ავტორიზაციის შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 24 ივნისის №740280 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი

**კენჭისყრის შედეგი** :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0
**გადაწყვეტილება:** საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „შპს ცხუმ-ეგრისის ავტორიზაციის შესახებ" პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 24 ივნისის №740280 გადაწყვეტილებაში კერძოდ: 1.1 ცვლილება განხორციელდეს „ელექტროობა" და "ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარამეტრებში. გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **( დანართი 3).**

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ხათუნა ჩხარტიშვილი

**მეხუთე საკითხი:** შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali academy-ის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

**ავტორიზაციისსაბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება**

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გვანცა პაკატილოვი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 20 აგვისტოს N1002010 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს საზოგადოებრივ კოლეჯში ,,Natali Academy" დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2025 წლის 8, 9 და 10 სექტემბერს განხორციელდა ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯში ,,Natali Academy" (მის: ქ. თბილისი, კოსტავას 67 ). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციას, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

**ხარვეზები არ გამოვლენილა.**
**შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.**
**განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება**

**1-ლი სტანდარტი**
**1.1.1.3. ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია.** ხედვა არის ორგანიზაციის წარმოდგენაში დახატული სასურველი სურათი, რომელიც უნდა გვაძლევდეს საშუალებას დავინახოთ განსხვავება არსებულს და სასურველ მდომარეობას შორის. ხედვა უნდა იყოს კარგად ფორმულირებული, მარტივად გასაგები, მოკლე, უნიკალური, მამოტივირებელი, ამბიციური (არსებულიდან სასურველისკენ), გაზომვადი, დროში გაწერილი და არა ზოგადი. სასურველია, დაწესებულებამ მოახდინოს ხედვის ფორმულირება ისე,რომ იყოს უფრო მოკლე და განსაზღვრული იყოს დროის ის პერიოდი, რომლის ფარგლებშიც კოლეჯი აპირებს შემუშვებული ხედვის რეალიზებას.

**მე-5 სტანდარტი**
**5.1.1 11. ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია** „ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი" - ის 1.5. მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულია, წიგნების და სხვა სახის საგანმანათლებლო რესურსის გატანის და დაბრუნების მექანიზმი, სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს/შექმნას სპეციალური მკითხველის ფორმულარი/ჟურნალი, სადაც აისახება წიგნადი რესურსის გატანა-დაბრუნების შესახებ ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს წიგნების მოძრაობის სისტემურ აღრიცხვასა და ბიბლიოთეკის რესურსების ეფექტურ გამოყენებას.
**მე-2 სტანდარტი**

**სტილისტი**
2.1.1.4. **ინდიკატორთან მიმართებით, დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია,** სტუდენტებთან გაფორმებულია წერილობითი თანხმობა პერსონალური მონაცემების დაცვის თაობაზე, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ისინი ვერ აცნობიერებენ მის მნიშვნელობას, ვინაიდან მომსახურების სფერო ამ მხრივ არის უამრავი პირადი ინფორმაციის მატარებელია, სასურველია, სასწავლო თემატიკაში პროფესიული სტუდენტებისათვის დაემატოს თემატიკა - პერსონალურ მონაცემთა დაცვა და მომხმარებლის კონფიდენციალურობა.
2.2.1.1. **ინდიკატორთან მიმართებით, დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია,** სასურველია პროფესიულ სტუდენტებს სხვადასხვა სახეობის და უფრო მრავალფეროვანი პროდუქცია ქონდეთ გაცნობის მიზნით და სასწავლო პროცესი იყოს,როგორც ბაზრის აქტიური პროფესიული პროდუქციის შესწავლის წყარო . მართალია ეს საკითხი არ ეწინააღმდეგება სტანდარტს, პროგრამას და მისი განხორციელების ხარისხს, არ აქვს ზეგავლენა სწავლის შედეგების მიღწევაზე, მაგრამ სასურველია კურსდამთავრებული მზად იყოს ბაზარზე ყველაზე მეტად აქტიურად გამოყენებად პროდუქციაზე სამუშაოდ და არ დაჭირდეს დამატებითი დრო და რესურსი ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**ვიზაჟისტი**
2.1.1.4. **ინდიკატორთან მიმართებით, დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია,** სტუდენტებთან გაფორმებულია წერილობითი თანხმობა პერსონალური მონაცემების დაცვის თაობაზე, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ისინი ვერ აცნობიერებენ მის მნიშვნელობას, ვინაიდან მომსახურების სფერო ამ მხრივ არის უამრავი

პირადი ინფორმაციის მატარებელია,სასურველია, სასწავლო თემატიკაში პროფესიული სტუდენტებისათვის დაემატოს თემატიკა - პერსონალურ მონაცემთა დაცვა და მომხმარებლის კონფიდენციალურობა.

2.2.1.1. **ინდიკატორთან მიმართებით. დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია,** სასურველია პროფესიულ სტუდენტებს სხვადასხვა სახეობის და უფრო მრავალფეროვანი პროდუქცია ჰქონდეთ გაცნობის მიზნით და სასწავლო პროცესი იყოს, როგორც ბაზრის აქტიური პროფესიული პროდუქციის შესწავლის წყარო . მართალია ეს საკითხი არ ეწინააღმდეგება სტანდარტს, პროგრამას და მისი განხორციელების ხარისხს, არ აქვს ზეგავლენა სწავლის შედეგების მიღწევაზე, მაგრამ სასურველია კურსდამთავრებული მზად იყოს ბაზარზე ყველაზე მეტად აქტიურად გამოყენებადი პროდუქციით სამუშაოდ და არ დაჭირდეს დამატებითი დრო და რესურსი ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY უზრუნველყოფილია მინიმუმ ავტორიზაციის ვადით შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, რაც მნიშვნელოვანია სასწავლო და სამუშაო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობისთვის. დაწესებულებას შპს ,,ნატალისთან" ( ს/ნ 205125407) 2025 წლის 01 აპრილს გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში, ავტორიზაციის ვადით (6 წლის ვადით), ფლობს ფართს ჯამურად - 559.97კვ.მ-ს. საკადასტრო კოდზე: (01.10.13.041.001.01.511). საიჯარო ფართი მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი მ. კოსტავას N 67. შენობა-ნაგებობების, ფლობა დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან. აკადემიის მიერ წარმოდგენილი იქნა შიდა აზომვითი ნახაზები და ფართების შესახებ შევსებული სპეციალური ფორმა. კოლეჯის ტერიტორიაზე სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას ახორციელებს დიასახლისი. ყოველდღიურად, გრაფიკის მიხედვით ხორციელდება ფართების დეზინფექცია და დასუფთავება. აკადემიაში წარმოებს ქიმიური ხსნარების დოზირების და გამოყენების აღრიცხვიანობის ჟურნალი, რომელშიც ასევეა ჩანიშნული დასუფთავების გრაფიკი და დასუფთავების საშუალებები. კოლეჯი უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რომელიც ფუნქციონირებს ბუნებრივ აირზე და გათბობით უზრუნველყოფს ყველა მის მართლზომიერ ფლობელობაში არსებულ სივრცეებს. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 08 აგვისტოს N64 ბრძანებით „მატერიალური რესურსების მართვის მექანიზმების" შესაბამისად, ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალებითა და ნედლეულით უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით შესაბამისი პირი (აკადემიის სასწავლო პროცესის მენეჯერი/პროგრამის ხელმძღვანელი/ პროფესიული განათლების მასწავლებელი) დირექტორს ან/და დირექტორის მოადგილეს ან/და მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების მართვის კოორდინატორს წარუდგენს წერილობით მოთხოვნას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოსაყენებელი სახარჯი მასალა-ნედლეულის თაობაზე.

შპს საზოგადოებრივ კოლეჯში NATALI ACADEMY ბიბლიოთეკა განთავსებულია აკადემიის მე-2 სართულზე, იგი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის და ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას და აკადემიის ვებ-გვერდზე განთავსებულია დირექტორის 2023 წლის 02 აგვისტოს N59 ბრძანებით დამტკიცებული „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი" დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო რესურსები, კატალოგები, ჟურნალები და ელექტრონული ვერსიები.

კოლეჯი აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი, სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით, მათი რაოდენობა საკმარისია და უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. აკადემიაში დირექტორის 2023 წლის 08 აგვისტოს N66 ბრძანებით დამტკიცებულია ,, IT (ინფორმაციის

ტექნოლოგიები) რისკებისა და ეფექტიანობის მართვის მექანიზმები". წინამდებარე მექანიზმი განსაზღვრავს შპს საზოგადოებრივ კოლეჯის „ Natali Academy" ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების პოლიტიკას და ნორმებს, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიის ყველა პროცესის ეფექტურ მართვას: ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურასა და განვითარების მექანიზმებს და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვას. კოლეჯში დამტკიცებულია ,,მატერიალური რესურსების მართვის მექანიზმები" რომლითაც აკადემიის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს უფლება აქვთ ისარგებლონ აკადემიის ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით.
აკადემიაში ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალის მიერ ხდება აკადემიის ფინანსური შესაძლებლობების მიხედვით აქტივობების დაგეგმვა და პირიქით, ახალი მნიშვნელოვანი აქტივობის დაგეგმვის პროცესში ხდება შესაბამისი ფინანსური რესურსების მოძიების შესაძლებლობებისა და წყაროების განსაზღვრა. ამგვარად, საერთო ჯამში,სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტი და შესყიდვების გეგმა.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ესთეტიკა და კანის მოვლა"**
ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „ესთეტიკა და კანის მოვლა" განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით,ვიზიტის დროს დათვალიერდა პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილი სასწავლო ფართი, A-B-C გარემო, რომელიც აღჭურვილი იყო პროგრამის განხორციელებისთვის შესაბამისი ინვენტარითა, მატერიალური და აპარატურული აღჭურვილობით, რაც დადასტურდა შესაბამისი შესყიდვის მტკიცებულებებიტა და ვიზუალური დათვალიერებით. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას განხორციელების მიზნით ჰყავს 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 6-დარგობრივი, რომლებიც სასწავლო გეგმისა და გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი.
დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ესთეტიკა და კანის მოვლა", საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული აღჭურვილობა/მატერიალური რესურსები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მინიმალური მატერიალური რესურსების დანართის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან და გათვლილია ოცკაციან ჯგუფებზე. პროფესიულ მოდულებში მითითებულია სტანდატით გათვალისწინებული სარეკომენდაციო ლიტერატურა. სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსები პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია აკადემიაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, ვიზიტის დროს დათვალიერდა პროგრამის განხორციელებისათვის

გამოყოფილი სასწავლო ფართი, A-B-C გარემო, რომელიც აღჭურვილი იყო პროგრამის განხორციელებისთვის შესაბამისი ინვენტარითა, მატერიალური და აპარატურული აღჭურვილობით, რაც დადასტურდა შესაბამისი შესყიდვის მტკიცებულებებიტა და ვიზუალური დათვალიერებით. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; შედგა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, რომლის კომპეტენტურობა დასტურდება როგორც გასაუბრებით ასევე პირადი საქმის გაცნობით. პროგრამის ხელმძღვანელი კარგად აცნობიერებს მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას და იცნობს თავის უფლება მოვალეობებს. უნდა აღინისნოს ისიც, რომ სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ,დაწესებულბაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები ითვალისწინებს სსსმ პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო რესურსების წვდომას. დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმის VI თავით დეტალურად აქვს გაწერილი აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. აკადემიაში მოქმედებს დირექტორის 2023 წლის 26 ივლისის N54 ბრძანებით (ბოლო ცვლილება N67 13.09.2024) დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები“, რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“ , ასევე დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები“,რომელიც ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, შეფასებისა და განვითრების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც გაწერილია დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებში“. წინამდებარე მექანიზმის შესაბამისად მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი წარედგინება სასწავლო პროცესის მენეჯერს ტექნიკური მხარის შესამოწმებლად და დარგის სპეციალისტს შინაარსობრივი მხარის შესამოწმებლად. დოკუმენტით გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე თითოეული პირის პასუხისმგებლობები და მათი უფლება მოვალეობები. ვერიფიკაციის მექანიზმი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი“**

ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი“განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი“, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული აღჭურვილობა/მატერიალური რესურსები შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მინიმალური მატერიალური რესურსების დანართის სარეკომენდაციო მოთხოვნებთან და გათვლილია ოცკაციან ჯგუფებზე. პროფესიულ მოდულებში მითითებულია სტანდატით გათვალისწინებული სარეკომენდაციო ლიტერატურა. სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსები პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია აკადემიაში. პროგრამაზე ,,ფრჩხილის მოვლის

სპეციალისტი“, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა დაეფუძნა შრომის ბაზრის კვლევას და სხვადასხვა ესთეტიკის ცენტრებისა თუ სალონების მომართვიანობას, რა მიზნითაც აკადემიის არსებული რესურსების შეფასების შედეგად განსაზღვრულ იქნა, 24 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 9,5 თვე (38 კვირა), არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 13.5 თვე (53 კვირა). აკადემია გეგმავს წელიწადში 24 პროფესიული სტუდენტის 2 ჯგუფად (ჯგუფში 12-12 პროფესიული სტუდენტი) მიღებას. მატერიალურ ტექნიკური ბაზის, ადამიანური და საბიბლიოთეკო რესურსის შესაძლებლობების/გამტარუნარიანობის გათვალისწინებით. დაწესებულების მიერ შერჩეული სასწავლო გარემოებია: A გარემო - შერჩეულია ერთი აუდიტორია, სადაც განთავსებულია 12 პროფესიული სტუდენტისთვის მაგიდა და სკამი, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის 1 მაგიდა და სკამი, დაფა, კომპიუტერი და პროექტორი; B გარემო - შერჩეულია ერთი აუდიტორია, სადაც განთავსებულია 12 პროფესიული სტუდენტისთვის მაგიდა, სკამი და კომპიუტერი, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის 1 მაგიდა, სკამი და კომპიუტერი, დაფა,პროექტორი; C სასწავლო გარემოსთვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სივრცე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 16 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან, პროფესიული მოდულების განმახორციელებლად 2 პირია განსაზღვრული, ზოგადი და საერთო დარგობრივი მოდულებისთვის 14 პირი. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ,დაწესებულბაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები ითვალისწინებს სსსმ პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო რესურსების წვდომას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დოკუმენტით გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე თითოეული პირის პასუხისმგებლობები და მათი უფლება მოვალეობები. ვერიფიკაციის მექანიზმი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. შიდა ვერიფიკაციის პროცესში ასევე ჩართულია დარგის სპეციალისტები.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სტილისტი“**

ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „სტილისტი“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულების მიერ,პროგრამისათვის გამოყოფილ სასწავლო გარემოში,მათი მფლობელობა დასტურდება შესყიდვის დოკუმენტაციით,ხოლო რაოდენობრივად გათვალისწინებულია მისაღებ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სტილისტი“, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა დაეფუძნა შრომის ბაზრის კვლევას და სხვადასხვა ესთეტიკის ცენტრებისა თუ სალონების მომართვიანობას, რა მიზნითაც აკადემიის არსებული რესურსების შეფასების შედეგად განსაზღვრულ იქნა, 28 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 11 თვე (43 კვირა), არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 15 თვე (58 კვირა). აკადემია გეგმავს წელიწადში 24 პროფესიული სტუდენტის 2 ჯგუფად (ჯგუფში 14-14 პროფესიული სტუდენტი) მიღებას. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური,სასწავლო რესურსისა და პრაქტიკის ობიექტის შესაძლებლობების/გამტარუნარიანობის გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს რომ როფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან, პროფესიული მოდულების განმახორციელებლად 4 პირია განსაზღვრული, ზოგადი და საერთო დარგობრივი მოდულებისთვის 14 პირი. სასწავლო

გეგმის, განმახორციელებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის და მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი. როგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; შემოწმდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის და გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია,შედგა გასაუბრება,რითაც დადასტურდა რომ პროფესიული განათლების თითოეულ მასწავლებელს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც გაწერილია დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებში“. წინამდებარე მექანიზმის შესაბამისად მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი წარედგინება სასწავლო პროცესის მენეჯერს ტექნიკური მხარის შესამოწმებლად და დარგის სპეციალისტს შინაარსობრივი მხარის შესამოწმებლად. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ,დაწესებულბაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები ითვალისწინებს სსსმ პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო რესურსების წვდომას. დაწესებულებას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმის VI თავით დეტალურად აქვს გაწერილი აქვს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. დოკუმენტით გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე თითოეული პირის პასუხისმგებლობები და მათი უფლება მოვალეობები. ვერიფიკაციის მექანიზმი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

**პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ვიზაჟისტი“**

ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „ვიზაჟისტი“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა სრულადაა უზრუნველყოფილი დაწესებულების მიერ, პროგრამისათვის გამოყოფილ სასწავლო გარემოში,მათი მფლობელობა დასტურდება შესყიდვის დოკუმენტაციით,ხოლო რაოდენობრივად გათვალისწინებულია მისაღებ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ვიზაჟისტი“, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ეფუძნება შრომის ბაზრის კვლევას და სხვადასხვა ესთეტიკის ცენტრებისა თუ სალონების მომართვიანობას, რა მიზნითაც აკადემიის არსებული რესურსების შეფასების შედეგად განსაზღვრულ იქნა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა. პროგრამის ,,ვიზაჟისტი”განხორციელებაში ჩართულია 3 (სამი) პროფესიული მოდულის განმახორციელებლი მასწავლებელი’ ზოგადი და საერთო დარგობრივი მოდულებისთვის- 14; სასწავლო გეგმისა და გაფორმებული ხელშეკრულებების ანალიზის შესაბამისად, მისაღები ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით, პროფესიული განათლების მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა არ იქნება კვირაში 40 საათზე მეტი. უნდა აღინიშნოს რომ სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. კერძოდ,დაწესებულბაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები ითვალისწინებს სსსმ პირებისათვის

პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული, სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილების შესაბამისად ადაპტირებული სასწავლო რესურსების წვდომას. აკადემიაში მოქმედებს დირექტორის 2023 წლის 26 ივლისის N54 ბრძანებით (ბოლო ცვლილება N67 13.09.2024) დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფისა და ვერიფიკაციის მექანიზმები", რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე და განავითარე", ასევე დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები",რომელიც ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, შეფასებისა და განვითრების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი NATALI ACADEMY დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები", რომლითაც გაწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები. კოლეჯში სწავლება მიმდინარეობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო ცხრილების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა, რომელიც გაწერილია დირექტორის 2025 წლის 01 მაისის N40 ბრძანებით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმებში". წინამდებარე მექანიზმის შესაბამისად მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი წარედგინება სასწავლო პროცესის მენეჯერს ტექნიკური მხარის შესამოწმებლად და დარგის სპეციალისტს შინაარსობრივი მხარის შესამოწმებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს შეკითხვით ინდიკატორთან 1.1.1.3 დაკავშირებით, რომლის ფარგლებში გაცემულია განმავითარებელი რეკომენდაცია. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში მითითებულია კოლეჯის სამომავლო ნაბიჯების განსაზღვრა ხედვის რეალურ მიზნად ქცევის მიმართულებით და დაინტერესდა, აპირებს თუ არა დაწესებულება აღნიშნული ფორმულირების გადახედვას, ხომ არ უშლის არსებული ფორმულირება კოლეჯს წარმატებისმიღწევას და რა ვადაში გეგმავს ცვლილებების განხორციელებას. ასევე, მოითხოვა განმარტება, რამდენად განმავითარებლად მიიჩნევ და დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა მახარაშვილმა, განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი დეტალურად ასახულია დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში. მისი თქმით, მენეჯმენტი ახალია და წლის ბოლოს, წლიურ ანგარიშთან ერთად, დაგეგმილია ყველა სტრატეგიული დოკუმენტის გადახედვა და შეფასება, მათ შორის ხედვისა და მისიის. აღნიშნული პროცესი განხორციელდება ექსპერტების მიერ გაწეული სამუშაოსა და გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით. მან აღნიშნა, რომ ხედვა არ არის რეგულაციით განსაზღვრული სავალდებულო ფორმით და მისი ჩამოყალიბების მიდგომა ინსტიტუციის შეხედულებაზეა დამოკიდებული. მისივე თქმით, შედარებითი ანალიზი ჩაუტარდა სხვა ცნობილი ბრენდების ხედვებზე, რომლებიც განსხვავდებიან მოცულობით ზოგიერთი ერთ წინადადებიანია, ზოგი კი უფრო ვრცელი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, განაცხადა, რომ იზიარებს რეკომენდაციას ხედვის უფრო მოკლე და მარტივად აღსაქმელი ფორმით ჩამოყალიბების საჭიროებაზე, თუმცა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ ხედვაში ჩამოთვლილი ყველა ნაბიჯი პრაქტიკულად უკვე

განხორციელებულია.
დასასრულს მან ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულება იღებს რეკომენდაციას და გეგმავს ხედვის ფორმულირების გადახედვასა და მის უფრო ლაკონურ ფორმაში წარმოდგენას.
საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა, განმარტა, რომ მისი ინტერესის საგანია, აღნიშნული რეკომენდაცია „განმავითარებელად“ ჩაითვალოს თუ უფრო „სარეკომენდაციოდ“.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა მახარაშვილმა, აღნიშნა, რომ ნებისმიერი მენეჯმენტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველთვის იღებს როგორც გარე, ისე შიდა ინსტიტუციური პერსონალისგან მიღებულ განმავითარებელ რეკომენდაციებს. მისი თქმით, ახალი გუნდის პირობებში დაგეგმილია ხედვისა და სტრატეგიის გადახედვა და ახალი ფორმულირებების შემუშავება.
საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა ხედვის მახასიათებლებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში მითითებულია, ხედვა უნდა იყოს მოკლე, გასაგები, უნიკალური, მამოტივირებელი, ამბიციური, დროში გაწერილი და გაზომვადი. თავმჯდომარე დაინტერესდა, რამდენად სწორად მიიჩნევს ექსპერტი აღნიშნულ ჩამონათვალს ხედვის ცნების განსაზღვრისას და ხომ არ მიეკუთვნება ზოგიერთი მათგანი უფრო სტრატეგიული მიზნების, ვიდრე ხედვის მახასიათებლებს.
ექსპერტის განმარტებით, სტანდარტის მახასიათებლების შესაბამისად აღწერილია, თუ როგორი უნდა იყოს ხედვა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ სწორად გაიგო რეკომენდაციის არსი და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი მოკლე ფორმულირება. ექსპერტის თქმით, რეკომენდაცია არის განმავითარებელი და არა ხარვეზის აღმნიშვნელი; დოკუმენტაცია დაწესებულებაში სრულად მოიცავს ცვლილებების შეტანისა და გადახედვის პროცესს.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ხედვის მოკლე, გასაგები, უნიკალური და მამოტივირებელი ფორმულირება მისაღებია, თუმცა ტერმინები „დროში გაწერილი“ და „გაზომვადი“ უფრო შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და შედეგების ინდიკატორებს, ვიდრე თავად ხედვის ბუნებას.
ექსპერტმა დაადასტურა, რომ სტრატეგიული ნაწილი, სადაც დროში არის გაწერილიგათვალისწინებული, დაწესებულებას უკვე შემუშავებული აქვს. მან დამატებით განმარტა, რომ დროში გაწერილობის მაგალითი შეიძლება იყოს ისეთი ფორმულირება, როგორიცაა „2029 წლისთვის ნატალი აკადემია უზრუნველყოფს...“, რაც რეკომენდაციის. პასუხი იქნება.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ხედვა ბუნებით ვერ იქნება გაზომვადი ან დროში გაწერილი და აღნიშნული მახასიათებლები უფრო სტრატეგიულ მიზნებს უკავშირდება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა მახარაშვილმა, განმარტა, რომ ხედვა უნდა იყოს რეალისტური, ხოლო ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ არსებული ხედვის 90%-ზე მეტი უკვე მიღწეულია, რაც კიდევ ერთხელ ამყარებს ხედვის გადახედვის საჭიროებას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, რამდენად მიიჩნევს ხედვის გაზომვას შესაძლებლად.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა მახარაშვილმა აღნიშნა, რომ ხედვის გაზომვა პირდაპირ არ არის შესაძლებელი, თუმცა ხედვა უნდა იყოს რეალისტური და მარტივად აღსაქმელი. მან დასძინა, რომ დაწესებულება ყველა რეკომენდაციას იღებს, მათ შორის სასწავლო პროდუქციასთან დაკავშირებითაც, ხოლო არგუმენტირებულ პოზიციაში აფიქსირებს საკუთარ პროფესიულ ხედვას.
საბჭოს თავმჯდომარემ დასვა დამატებითი კითხვა პროგრამებთან — „სტილისტი“ და „ვიზაჟისტი“ — დაკავშირებით, კერძოდ, ინდიკატორზე 2.1.1.4 გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციაზე, რომელიც შეეხება პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და მომხმარებლის კონფიდენციალურობას. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პროფესიული საქმიანობა მოიცავს პირად ინფორმაციას, მათ შორის ვიზუალურ და, ზოგ შემთხვევაში, ჯანმრთელობის მონაცემებს. დაინტერესდა, მიზანშეწონილია თუ არა, რომ კონფიდენციალურობის საკითხი მხოლოდ

თემატიკის დონეზე დაემატოს სასწავლო გეგმას, თუ იგი უნდა ინტეგრირდეს პროფესიული ეთიკისა და მომსახურების კულტურის მოდულებში, როგორც პრაქტიკული უნარების შემადგენელი ნაწილი.
დარგის ექსპერტის განმარტებით, მიზანშეწონილია აღნიშნული კომპონენტის ინტეგრირება მოდულებში, თუმცა ძველი კვალიფიკაციის ჩარჩო არ იძლეოდა ამის საშუალებას. ექსპერტის თქმით, ახალი კვალიფიკაციის ჩარჩოში აღნიშნული კომპონენტი უკვე გათვალისწინებულია, თუმცა დოკუმენტი ჯერ არ არის დამტკიცებული. მან აღნიშნა, რომ მსგავს რეკომენდაციებს გასცემს ყველა კოლეჯში, სადაც პროფესიული განათლება სილამაზის მომსახურების მიმართულებით ხორციელდება, რათა სტუდენტები ბაზრის გამოწვევებისთვის უკეთ მომზადდნენ.
საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა, დასვა შეკითხვა ინდიკატორზე 2.2.1.1 გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც პროფესიულ სტუდენტებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა იმუშაონ უფრო მრავალფეროვან პროდუქციასთან, რაც ხელს შეუწყობს მათ ბაზრის რეალურ მოთხოვნებთან დაახლოებას. საბჭოს წევრი დაინტერესდა, რას გულისხმობს აღნიშნული რეკომენდაცია და რატომ არის მატერიალურ რესურსებში აღნიშნული პროდუქციის ჩამონათვალი არასრული, პროგრამის პრობლემა ხომ არ იკვეთება ამ კუთხით.
დარგის ექსპერტის განმარტებით, კოლეჯებში შესყიდვები ხშირად ტენდერზე დამოკიდებულებით ხორციელდება, რის გამოც სტუდენტები მხოლოდ ერთ კონკრეტულ პროდუქტზე მუშაობენ. აღნიშნული არ ეხება მხოლოდ „ნატალი აკადემიას", არამედ სხვა კოლეჯებსაც. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაცია ეხება ბაზრის შესწავლის საჭიროებას, რათა დადგინდეს, რომელი პროდუქტებია რეალურად აქტიური და ყველაზე მეტად გამოყენებადი საქართველოში. მისი თქმით, რეკომენდაციის მიზანი არ არის ყველა პროდუქტის ფიზიკურად ქონა, არამედ თეორიულად მათი გაცნობა და განსხვავებების შესწავლა.
საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა, აღნიშნა, რომ აღნიშნული გარემოება შესაძლოა ნიშნავდეს, რომ კურსდამთავრებულები შრომის ბაზრის მოთხოვნებისთვის სრულად არ არიან მზად და იკითხა, რამდენად განმავითარებელია ეს რეკომენდაცია ამ თვალსაზრისით.
დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაცია ნამდვილად არის განმავითარებელი და არ ეხება მატერიალურ შეძენებს, არამედ თეორიული სწავლების გაძლიერებას.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა მახარაშვილმა, დამატებით განმარტა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში მითითებულია კოლორისტიკის თეორიისა და პალიტრის შესწავლის კომპონენტი, რომელიც უნივერსალური ცოდნის საფუძველია სხვადასხვა პროდუქციის გამოყენებისთვის. მისივე თქმით, პრობლემა არა აკადემიაში, არამედ დაფინანსების მოდელის შეზღუდვებშია, რაც არ იძლევა მრავალფეროვანი პროდუქციის შესყიდვის შესაძლებლობას. შესაბამისად, რეკომენდაცია უფრო სისტემური ხასიათისაა და ეხება მთლიანად პროფესიული განათლების სექტორის მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვის საჭიროებას.

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ხათუნა ცერცვაძემ

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali academy-ის ავტორიზაციის შესახებ საკითხი
**კენჭისყრის შედეგი** :
მომხრე: 9
წინააღმდეგი : 0

**გადაწყვეტილება:** დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali academy-ს (ს/კ 404441895) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი Natali academy-ს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 4).** გადაწყვეტი ლების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 31 ოქტომბერი.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 13:50 საათზე**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

**დანართი 1**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1041 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N 38 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალურ სამუშაო გარემოში |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 130 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში) | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 92 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 107 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1041 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N 38 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალური სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 100 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში) | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 88 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 103 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ელექტროობა |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0713 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N 38 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალური სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 20 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში) | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 66 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 81 |

**დანართი 2**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ელექტროობა |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0713 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი №38 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 75 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 66 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 81 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1041 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი №38 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 220 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 88 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 103 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია - გემბანის რიგითი მეზღვაური |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1041 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი №38 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 280 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 92 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 107 |

**დანართი 3**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საფინანსო სერვისები |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0412 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. N32 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალური სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 52 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 67 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | აღმზრდელი |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0112 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ზუგდიდი , მ. კოსტავას ქ. N32 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალური სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 116 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 146 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. N32 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალური სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 55 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 70 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ფარმაცია (სააფთიაქო) |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0916 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. N32 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალური სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 123 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 153 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საექთნო საქმე |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0913 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. N32 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალური სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 60 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 180 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 210 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ელექტროობა |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0713 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. N32 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | რეალური სამუშაო გარემო |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 24 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 66 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 81 |

ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს
უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში.

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ბუღალტრული აღრიცხვა |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0411 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ზუგდიდი. მ. კოსტავას ქ. 32 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | - |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | კოოპერაციული |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 8 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 99 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 129 |

**დანართი 4**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ესთეტიკა და კანის მოვლა |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ესთეტიკასა და კანის მოვლაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1012 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. თბილისი მ. კოსტავას N67 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებული |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 79 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 109 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზისო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1012 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | მერაბ კოსტავას 67 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებული |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 24 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში) | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 51 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 66 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სტილისტი |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1012 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | თბილისი, მ. კოსტავას N67 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებული |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 28 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 58 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 73 |

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ვიზაჟისტი |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1012 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | თბილისი, მ. კოსტავას N67 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში) | იმიტირებული |
| რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური) | - |
| პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით | 40 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 54 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 69 |

**ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კანის მოვლა და სპა პროცედურები |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1012 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | თბილისი, მ. კოსტავას N67 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 22 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 59 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 74 |